ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 11/58

2024 წლის 25 ნოემბერი

ქალაქი ფოთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორის ანგარიშის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი'' 106[1] მუხლის მე-15 პუნქტის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ,, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/5 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 118-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის მიხედვით განიხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, გარკვეული საქმიანობა აქვს ჩატარებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, ქუჩების,პარკების, სკვერების, სანიაღვრე არხების და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავების, ნაგვის გატანისა და ტერიტორიის გამწვანების თვალსაზრისით. ანგარიშში წარმოდგენილია ნუსხა იმ ღონისძიებების, რომლებიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მომსახურების სხვადასხვა სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატიური მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მოხეტიალე პირუტყვის ქალაქში დაფიქსირების შემთხვევების რაოდენობამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო. რაც შეეხება მიუსაფარი მაწანწალა ძაღლების კონტროლს, განხორციელდა ქალაქიდან 202 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დაჭერის, თავშესაფარში გადაყვანის და თანმდევი სამედიცინო მომსახურების(იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია) გაწევა და კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე დაბრუნება ყოველი თვის დასაწყისში ხდება ყველა სატუმბი სადგურის შემოვლა-დათვალიერება, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. ხორციელდება სატუმბი აგრეგატების, საკონტროლო მზომი სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციის დადგენილი ნორმებით. ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა. განყოფილება კონტროლს უწევს სკვერებსა და პარკებში მოსასვენებელი სკამების შეკეთება-შეღებვის და განათების მოწესრიგების საკითხს.

ა(ა)იპ-ში ფუნქციონირებს საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

წლებია ძირითად პრობლემას „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" მუშაობაში წარმოადგენს სპეცტექნიკის დეფიციტი, ძალიან დიდი თანხები იხარჯება ისეთი სპეც.ტექნიკის

იჯარაზე, როგორებიცაა ამწე-კალათა 12 და 22 მეტრიანი, ავტო-ამწე, ავტო გრეიდერი და ექსკავატორი JCB მოდელი 4CX. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ორიენტირებას გააკეთებს აღნიშნული ტექნიკის შესყიდვაზე, რითაც მომდევნო წლებში დაიზოგება საბიუჯეტო თანხები, ასევე სასურველია 1 ერთეული სპეციალიზებული ასენიზაციის მანქანის, ქუჩების გადამრეცხავი სპეც.ტექნიკის და მაგისტრალური არხების გასაწმენდად სპეციალიზებული ექსკავატორის CAT (Caterpillar 319DL) შეძენა. ამ უკანასკნელის შეძენის აუცილებლობა გვაჩვენა ბოლო პერიოდში ქალაქში შექმნილმა ფორსმაჟორულმა სიტუაციამაც, რომლის დროსაც უხვი ნალექის გამო დაიტბორა მთელი ქალაქი და საჭირო გახდა სანიაღვრე არხების სასწრაფო ამოწმენდა წყლის გამტარიანობის უზრუნველსაყოფად.

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობლემაა სპეცტექნიკის (ტრაქტორი და სხვა) მძღოლების, ელექტრიკოსის და სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტების და მუშების მაღალკვალიფიციური და სერტიფიცირებული კადრების მოზიდვა, რადგან კერძო სექტორში დასაქმებულ შესაბამის პოზიციებზე ხელფასები ბევრად მაღალია. აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად 2024 წელს დასახელებულ პოზიციებზე განხორციელდა თანამდებობრივი სარგოების მნიშვნელოვანი გაზრდა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად .

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" დირექტორის ანგარიში (ანგარიში თან ერთვის)

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
215138143

ა(ა) იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის საქმიანობის ანგარიში

1. სტრუქტურა

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი" შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის №902 ბრძანების საფუძველზე.

ა (ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი" მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს მომსახურების რამოდენიმე სფეროს, მათ შორის:

1. ქუჩების დაგვა -დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (მერიისა და სხვა ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობისა და დალაგების მომსახურება)
2. .გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა
3. ქალაქის ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა.
4. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი (აქვე მიუსაფარი ძაღლები)
5. მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება
6. საბინაო ფონდის მოვლა -პატრონობა
7. ქუჩების სარემონტო სამუშაოები
8. სანიაღვრე არხების და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა
9. მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა (შეიქმნა 2023 წლის 01 აგვისტოდან)

   დღეის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს -374 კაცს (363 კაცი ძირითადი, 11 კაცი შტატგარეშე)

2. ბიუჯეტი

- ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი"-სათვის 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ზემოთხსენებული სამუშაოების და მომსახურებების გასაწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა -7 324 000 ლარი, აქედან საანგარიშგებო პერიოდში - 6 427 900 ლ. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე- 3 789 900 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 3 501900ლარი), შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე -291000 (ათვისებულ იქნა -210 100 ლარი) , ოფისის ხარჯებზე-58 700 ლარი (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -51 100 ლარი), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შესაძენად -67 600 ლ (ათვისებულ იქნა -700ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვის ხარჯებზე -601 200ლ (ათვისებულ იქნა 529 820ლ), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -1 276700 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -646 700ლ), არაფინანსურ აქტივებზე - 98 900 ლ (ათვისებულ იქნა 64 700 ლარი), მივლინებაზე - 3 700 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა - 1 400 ლ), სხვა ხარჯებზე -198 300 ლ (ათვისებულ იქნა -137 700 ლარი), სოციალურ უზრუნველყოფაზე (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება)- 40 100ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 11 500ლ), სამედიცინო ხარჯზე -1800ლ (ათვისებულ იქნა 1000ლ)

სულ საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი 6 427 900 ლარიდან ფაქტიურად ათვისებულ იქნა (ფაქტიური დაფინანსება) – 5 152 900 ლარი, ხარჯი შეადგენდა 4 992 349 ლარს

ასევე საწარმოს საკუთარი შემოსავლებიდან გამოყენებულ იქნა -80 272ლარი.

3. შესყიდვები

სამსახური ყველა სახის შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-ის შესაბამისად. მ/წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება 32 მომწოდებელთან -სულ 1 288 402 ლარზე, გამარტივებული ტენდერით 336 ხელშეკრულება 224 349 ლარზე, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით 26 ხელშეკრულება -513 154 ლარზე.

ფაქტიურად მ/წელს განხორციელდა 835 103 ლარის შესყიდვა ელ.ტენდერით, 196 590 ლარის შესყიდვა გამარტივებული ტენდერით და 388 033 ლარის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერით, სულ ჯამში განხორციელდა 1 419726 ლარის შესყიდვა.

4. უსაფრთხოება

სამსახურის თანამშრომლებისთვის საჭიროებისამებრ შეძენილ იქნა პირადი დაცვის (სპეცტანსაცმელი, სამუშაო ხელთათმანები, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ქამარი) და ჰიგიენური საშუალებები (საპონი).

ყველა თანამშრომელი თითქმის სრულად არის უზრუნველყოფილი დაკავებული პოზიციის შესაბამისად საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით

ჩატარდა სამუშაოები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით:

- ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ში შემავალი განყოფილებების ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებულ იქნა და პერიოდულად ტარდება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, რომელიც ფიქსირდება ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟის ჟურნალებში, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების (2 კაცი) მიერ სისტემატიურად მოწმდება უსაფრთხოების ნორმების დაცვის საკითხი უშუალოდ თანამშრომელთა სამუშაო ადგილებზე, მედდების მიერ ყოველდღიურად წარმოებს სპეცტექნიკის მძღოლების ალკოტესტზე შემოწმება.

5. სამოქმედო გეგმა

სამსახურის ყველა განყოფილება მუშაობას ახორციელებს მოთხოვნა-საჭიროებიდან გამომდინარე შედგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე საწარმოო და საქალაქო აუცილებლობიდან გამომდინარე რეაგირებას ახდენენ ცალკეულ შემთხვევებზე (მოქალაქეთა განცხადებებზე).

ქუჩების გარე განათების, საბინაო ფონდის მოვლა პარტონობის, გამწვანების და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის განყოფილებები ძირითადად მუშაობენ როგორც სპეციალისტების ინსპექტირების შედეგად დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, ასევე მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული შეტყობინებების (რომელიც ფიქსირდება

ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში და ოპერატიულად გადაეცემათ შესაბამის სამსახურებს) მიხედვით.

6. საქმიანი ეზო

ა(ა)იპ-ში ფუნქციონირებს საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

სახელდობრ, მ/წელს შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

საქმიან ეზოში:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის შეშის მიწოდება/ტრანსპორტირება;

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

- ქალაქის ქუჩებიდან შემოტანილი დაზიანებული პლასტმასის/ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერების შეკეთება;

- საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში ზღვის სანაპირო ზოლზე და ასევე სხვადასხვა ლოკაციებზე დასუფთავების სამუშაოები;

- საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე ღობის გამაგრება, ავტომანქანების გასარეცხი ტერიტორიის გაფართოება, ეზოში ორმოების ამოვსება და მოხრეშვა;

- ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ლოკაციებზე საცხოვრებელი კორპუსის ეზოებში და სკვერებში მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენის სამუშაოები.;

- საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე მუშების მოსაცდელი/გასახდელი ოთახის მშენებლობა (მიმდინარე);

- საქმიან ეზოში მანქანების „ესტაკადის" მშენებლობა (მიმდინარე);

- ქალაქის ქუჩების დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების გატანის განყოფილების მიერ დიდი და პატარა სანაგვე კონტეინერების დასტიკერება;

- საქმიან ეზოში, ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ლოკაციებზე საცხოვრებელი კორპუსის ეზოებში და სკვერებში დასუფთავების სამუშაოები.;

- საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, მდგარ ბოძებზე სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება;

- საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, დაშლილი სეპარაციის (ბალკები) დასაწყობი კონტეინერის სახურავის შეკეთება;

7. გამწვანების სამსახური

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში - ქალაქის მასშტაბით გაითიბა მწვანე საფარი- როგორც ქუჩებში, ასევე სკვერებსა და პარკებში - სულ 3 014 116 კვ.მ, გაიკაფა 63550 კვ.მ ტერიტორია, მოიჭრა 26 ძირი ხე და შეისხეპა-გაისხლა 45 ძირი ხე, დამუშავდა და გატანილ იქნა 39 ძირი ქარისგან დაზიანებული ხე, დამუშავდა 17 ძირი ხე და 35 ძირი ხის ტოტები და გატანილ იქნა. ფორმირებულ იქნა 601 ძირი ხე-მცენარე და ყვავილოვანი ბუჩქი და 999 გრძ.მ ბუჩქოვანი ბორდიური, 66 ძირი პალმა. ხეების მოჭრა, გადაბელვა, დამუშავება ხდება ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნა-განცხადების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. კირით შეთეთრებულ იქნა 5304 ძირი ხე.

ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა. განყოფილება კონტროლს უწევს სკვერებსა და პარკებში მოსასვენებელი სკამების შეკეთება-შეღებვის და განათების მოწესრიგების საკითხს

განყოფილების მიერ გაწეული კერძო მომსახურებიდან (განაცხადების საფუძველზე კერძო მფლობელობაში არსებული ტერიტორიების გათიბვა) შემოსული თანხის ოდენობამ შეადგინა 1340 ლარი

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე მ/წელს გამოყოფილ იყო 687 400 ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ (საკასო შესრულება) შეადგინა 555 000 ლარი (ხარჯი შეადგენდა 548 482 ლ)

8 . **ქუჩების დაგვა -დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის განყოფილება**

ქალაქის ქუჩების დაგვა/დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სპეცტექნიკით გატანა წარმოებს დამტკიცებული გრაფიკის სრული დაცვით ყოველდღიურად. ხორციელდება 41 ქუჩის (374328კვ.მ ფართი) და სეზონურად მალთაყვის ზღვის სანაპირო ზოლთან მისასვლელი გზის და ზღვის სანაპიროს (50147კვ.მ ფართით) დაგვა-დასუფთავება. გარდა ამისა, სუფთავდება ქალაქში შექმნილი ხელოვნური ნაგავსაყრელებიც. სანაგვე კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში სრულდება დამატებითი რეისებიც. კარდაკარ შემოვლით მოსახლეობიდან ნაგავი გაიტანება დღეში 1-ჯერ (ერთი და იგივე ქუჩიდან ყოველ მე-2 დღეს)

თვითმცლელების საშუალებით კი ხდება ქალაქის სხვადასხვა უბნიდან საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების(ხის ტოტები, უვარგისი საოჯახო ავეჯი, ტექნიკა და სხვა) გატანა.

ქალაქში დღეის მდგომარეობით 400 ლოკაციაზე განთავსებულია 790ც სანაგვე კონტეინერი (გასული წლის შესაბამის პერიოდში სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებულ იყო 756 ც სანაგვე კონტეინერი).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში პირველად ჩვენი საწარმოს ინიციატივით შედგენილ იქნა სხვადასხვა ლოკაციებზე კონტეინერების განლაგების რუკა შესაბამისი ჯიპიარესის კოორდინატების დატანით. რაც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ მომენტში გავაკონტროლოთ ჯიპიარესდამონტაჟებული მანქანების გადაადგილებისას, გადიან თუ არა

ისინი სრულ ტრაქტორიას და ხომ არა აქვს ადგილი ტექნიკის მომსახურე პერსონალის მიერ ნარჩენებით სავსე კონტეინერების დაუცლელობის ფაქტების დაშვებას.

ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების შეგროვება-გატანას ემსახურება სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო პარკი, რომელიც ქალაქის ხელმძღვანელობის უშუალო ძალისხმევით ბოლო პერიოდში შევსებული და გაახლებული იქნა, რამაც თითქმის მთლიანად აღმოფხვრა შეფერხებები და შესაძლებლობა მოგვცა გაგვეხორციელებინა სრულყოფილი მომსახურების გაწევა. დასახელებულ სამუშაოების შესრულებას საწარმო ახორციელებს შემდეგი სახის ტექნიკით:

-სპეციალიზებული მექანიკური დამგველი -(დაგვა და სველი დამუშავება) -1 ერთეული

-სპეციალიზებული ნაგავმზიდები - 9 ერთეული -აქედან 2 ერთეული 2023წელს მიღებული

-სატვირთო ბორტიანი- 8 ერთეული -აქედან 6 ერთეული ახალი (2023წლის)

-თვითმცლელი - 9 ერთეული

-თვლიანი ტრაქტორი -4 ერთეული (ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავებაზე)- აქედან 3 ერთეული ახალი

-თვითმცლელი მისაბმელი -4 ერთეული -აქედან 3 ერთეული ახალი

-ექსკავატორი -2 ერთეული -აქედან 1 ერთეული ახალი

ჩატარდა აქტიური მუშაობა საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიასთან ნარჩენების მართვის ელექტრონულ პროგრამაზე, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება კონტროლის გაწევა ქალაქის დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ლოკაციაზე.

განყოფილება მომსახურებას უწევს კერძო კომპანიების (17 ერთეული) მოთხოვნის საფუძველზე მათ ტერიტორიაზე დამატებით დადგმულ სანაგვე კონტეინერებს (30ცალი). აღნიშნული მომსახურებიდან მ/წელს შემოსულია 78613 ლარი.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე მ/ წლის საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი იყო 2 156 400 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ-საკასო შესრულება-შეადგინა 1 861 100ლ (ხარჯი შეადგენდა 1 813 527ლარს)

9. **საბინაო ფონდი**

საბინაო ფონდის და მოვლა-პატრონობის განყოფილება ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში) და სისტემატიურად კონტროლდება შესრულების მიმდინარეობაც. ყოველთვიურად წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების ნუსხას თან ერთვის ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ სამუშაოების ნამდვილად შესრულების დამადასტურებელი აქტები სხვადასხვა უბნებში. მ/წელს შემოსულია 674 წერილობითი განაცხადი, რომელთაგან 663 დაკმაყოფილებულია და 11-შესრულების პროცესშია. გარდა შემოსული განცხადებებისა სამსახურის მიერ სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი მასივების ტერიტორიების დათვალიერება-

ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირება. ძირითადად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეზოებში საკანალიზაციო ჭების, ამონიჩბვის ორმოების და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდა სპეცმანქანით, სარდაფებში, ეზოებში და სადარბაზოებში საკანალიზაციო ქსელის შეცვლა, გასუფთავება, მონტაჟი და სხვა. სახელდობრ:

1. გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი და ჭები -- 428 ს/სახლში , 4 ცალი - სკ.ს. დაწესებულებაში.
2. ეზოებში გაიწმინდა ს/სარგებლობის საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმოები - 206 ცალი, მათ შორის - 35 ცალი - 35 ს/სახლში, 12 ცალი - სკ.ს. დაწესებულება, 3ც ქალაქის მუნიციპალიტეტში, 1ცალი საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში და 155 ცალი კრძო მომსახურება.
3. ეზოში გაიწმინდა საერთო სარგებლობის საპირფარეშო - 6ცალი - 6 ს/სახლში
4. ეზოში გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა - 145 მეტრი – მათ შორის 99 მეტრი 10ს/სახლში, 15 მეტრი სკ.ს. დაწესებულებაში, 31 მეტრი ყოფილ უშიშროების შენობაში.
5. ეზოში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 38 ცალი , მათ შორის 23 ცალი -7 ს/სახლში, 13 ცალი -სკ.ს. დაწესებულებაში, 2ცალი ყოფილ უშიშროების შენობაში.
6. ეზოში აშენდა საკანალიზაციო ჭა - 3 ცალი; #1სააღმზრდელო დაწესებულების მიმდებარედ დამონტაჟდა 1 ცალი საკანალიზაციო ჭა მიერთებულ იქნა ცენტრალურ ქსელთან.
7. ეზოში შეკეთდა და მოპირკეთდა საკანალიზაციო ჭები - 16 ცალი - 10 ს/სახლში
8.ეზოში შეკეთდა საკანალიზაციო ჭა ლითონის სახურავით-1ცალი 1ს/სახლში
9. ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო ჭის რკინა ბეტონის თავსახურები - 7 ცალი - მათ შორის 6 ცალი - 6 ს/სახლში და 1 ცალი -რუსთაველის რკალზე თეატრის მიმდებარედ
10. ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციოჭის ლითონის თავსახური-5ცალი 4 ს/სახლში
11. ეზოში მოისხა ბეტონის საფარი - 15 ს/სახლში, 2სკ.ს დაწესებულებაში
12.ეზოში გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი ლითონის ჩხირით -საჭადრაკო სკოლაში
13. სადარბაზოდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა - 10მეტრი 2ს/სახლში
14. სადარბაზოდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გიწმინდა საკანალიზაციო ქსელი ლითონის ჩხირით - 2ს/სახლში
15. სადარბაზოდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა -75 მეტრი 9ს/სახლში
16. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 1 ს/სახლში
17. სარდაფიდან ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი ლითონის ჩხირით -3 ს/სახლში
18. სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა - 11050 m^3 - 41 ს/სახლში
19. სარდაფში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა - 163,5 მეტრი – მათ შორის -154,5 მეტრი 34 ს/სახლში, 9 მეტრი -სკ.ს. დაწესებულებაში
20. სარდაფში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები - 218 ცალი - მათ შორის 213 ცალი 51 ს/სახლში , 5 ცალი -სკ.ს. დაწესებულებაში
21. სარდაფში დამონტაჟდა საწვიმარი სისტემა -10 მეტრი 2ს/სახლში
22. სარდაფში დამონტაჟდა საწვიმური სისტემის ფასონური ნაწილი -1 ცალი -1ს/სახლში
23.სარდაფში შეკეთდა საკანალიზაციო სისტემა -1ს/სახლში

24. სარდაფში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო -57 ს/სახლში, 1ც სკ.ს. დაწესებულებაში
25. სართულებსშუა ეზოს საკანალიზაციო ჭამდე გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა - 32მეტრი -2ს/სახლში
26.სართულებსშუა გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა -134 მეტრი -20 ს/სახლში
27. სართულებსშუა გამოიცვალა ფასონური ნაწილები - 206 ცალი - 26 ს/სახლში
28. სართულებსშუა დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, დასუფთავდა და აეწყო - 5 ს/სახლში
29. სართულებსშუა გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა ლითონის ჩხირით -2 ს/სახლში, შეკეთდა საწვიმური სისტემა -1ს/სახლში
30. წყალსაწრეტი სისტემის ღარი გამოიცვალა -1078 მეტრი-21 ს/სახლში
31. წყალსაწრეტი სისტემის ძაბრი გამოიცვალა -16 ცალი-6 ს/სახლში
32. წყალსაწრეტი სისტემის მილები გამოიცვალა -97,8 მეტრი-8ს/სახლში
33. წყალსაწრეტი სისტემის ფასონური ნაწილები გამოიცვალა -36ცალი-6ს/სახლში
34. წყალსაწრეტი სისტემის რკინის თვითმჭრელი ხრახნი გამოიცვალა -250 ცალი-5 ს/სახლში
35. წყალსაწრეტი სისტემის ლითონის თვითმჭრელი გამოიცვალა -1000ცალი-4 ს/სახლში
36. წყალსაწრეტი სისტემის ღარის სამაგრი გამოიცვალა -290ცალი- 5 ს/სახლში
37. წყალსაწრეტი სისტემის ღარის გარე კუთხე გამოიცვალა -2ცალი-1 ს/სახლში
38. წყალსაწრეტი სისტემის თუნუქის ფურცელი გამოიცვალა -12,5 კვ.მ-1 ს/სახლში

საანგარიშგებო პერიოდში კერძო მომსახურების გაწევიდან (შემოსული განაცხადების საფუძველზე ამონიჩბვის ორმოების გაწმენდა) შემოსული თანხის ოდენობამ შეადგინა 9 531 ლარი

დასახელებული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილ იქნა 291 600 ლარი, ფაქტიური დაფინანსება-საკასო შესრულება- შეადგენდა 263 300 ლარს. (ხარჯი შეადგენდა 250 354 ლარს)

10. **გარე განათება**

ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის განყოფილება ემსახურება ქალაქში არსებულ 6500 განათების წერტილს და ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში). მ/წელს დაფიქსირებული გვაქვს 82 შეტყობინება, მაგრამ სამუშაოები ძირითადად ხორციელდებოდა სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

ძირითადად ხორციელდებოდა შემდეგი სამუშაოები: საჭიროებისამებრ გარე განათების სანათების შეცვლა, პროჟექტორებისა და ელექტრო-გამანაწილებელი კარადების შეკეთება/შეცვლა, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა ან ახლით შეცვლა, სადენების შეერთების შემოწმება, კაბელის იზოლაციის წინაღობების შემოწმება, კაბელის დაზიანებული ნაწილების შეცვლა, ქსელში ძაბვისა და დატვირთვის შემოწმება, დენკვეთების დარეგულირება, კონტაქტორების დარეგულირება-შეცვლა, დამჭერების გადაჭერა, ფოტო-რელეების რეგულირება -შეცვლა და სხვა. გარდა განცხადება-შეტყობინებებისა სამუშაოები ასევე ხორციელდება სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

სულ გამოცვლილ იქნა:

-დროსელი -1 ც

-მაგნიტური გაშვები -16ც

-ეკონათურა-18 ც

-ელ.კაბელი სპილენძის 1695 გრძ.მ

-კაბელის სამაგრი სიპჩამჭერი -713ც

-ელ.გამთიშველი-44ც

-ელ.ავტომატი-4ც

-ლედის სანათის ჩიპი-839ც

-ლედის სანათის დრაივერი-290ც

-ელ.ვაზნა-31ც

-სანათი წერტილოვანი ოთხკუთხედი-86

-ლედსანათი ოვალური-1

განათების ბურთი -49ც

გოფრირებული მილი 50მმ -219მ

ლედის სანათი -9

კაბელის სამაგრი ჩამჭერი -310

ელ.როზეტი -4

შუალედური კაბელის სამაგრი ჩამჭერი -192

ლითონის მილი -1მეტრი

ლედის პროჟექტორი-52

პროჟექტორის კვების ბლოკი-77

გარე განათების სანათის პლატა-62

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი იყო 500 000 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 282 700ლარი, (ხარჯი შეადგენდა 270 402ლარს)

11. მოსაკრებელის ადმინისტრირების განყოფილება

დღეის მდგომარეობით მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობაა 880. დაანგარიშდა დავალიანებები ფიზიკური პირების (ადრე არსებული ბაზის გამოყენებით), დაანგარიშების პროცესი და ბაზის განახლება -ცვლილებები მიმდინარეობს ამ ეტაპისთვისაც.

აბონენტად დარეგისტრირებულ მოქალაქეებს საკუთარი სააბონენტო კოდის გამოყენებით შეუძლიათ მათზე რიცხული დავალიანების ნახვა ყველა გადახდის აპარატში, ბანკებსა და მათზე მიბმულ სპეციალიზირებულ ინტერნეტ პროგრამებში და შესაბამისად გადასახადის გადახდაც, რაც გარკვეულ წილად სერვისსაც აუმჯობესებს და გვაქვს პროგნოზი თანხების შემოსულობების ზრდის ტენდენციისაც.

განყოფილების წლიური გეგმა (ამოსაღები თანხა) არის 650 000 ლარი. განყოფილების მიერ მ/წლის გასულ პერიოდში ამოღებულ იქნა 627 326,13 ლარი. ამოღებული თანხიდან ფიზიკური პირებზე მოდის 74 210,68 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე 553 115,45 ლარი

შესაბამისი განყოფილების თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობდნენ უბნების მუნიციპალიტეტებთან, შედარება-მოძიების შედეგადაც დაზუსტდა ფიზიკური პირების-აბონენტთა სულადობები და საკონტაქტო ტელეფონები. აღნიშნულმა კი შესაძლებლობა მოგვცა სისტემატიური კომუნიკაციები დაგვემყარებინა და გვეკონტროლებინა დავალიანების მქონე აბონენტებიდან თანხების ამოღება. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციამ დაასრულა მუშაობა მოსაკრებლის ადმინისტრირების ელექტრონულ პროგრამაზე, რაც განყოფილების სპეციალისტების მიერ შესაბამისი მონაცემების შეყვანის შემდეგ ავტომატურად არიცხავს აბონენტთა გადასახდელ თანხას, დაიანგარიშებს დავალიანებას და გააგზავნის სმს შეტყობინებებს .

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდში განყოფილებაზე გამოყოფილი იყო 135 900 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 128 200 ლარი (ხარჯი შეადგენდა 127 038 ლარს)

12.უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილების თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ ქალაქის მასშტაბით აკრძალული ტერიტორიებზე მოხეტიალე ცხოველების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებების უზრუნველყოფაზე. [illegible] უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატიური მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად უმეთვალყურეო პირუტყვის ქალაქში ხეტიალის დაფიქსირების შემთხვევების რაოდენობამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო.

სულ მ/წელს დაფიქსირებულ იქნა ქალაქში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების ხეტიალის 40 შემთხვევა. ყველა შემთხვევაში იზოლირებული პირუტყვის მეპატრონეებთან გაფორმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 40 ოქმი- 63 სულ საქონელზე. მეპატრონეების მიერ ჯარიმის თანხა 2150 ლარი - შეტანილ იქნა ხაზინის ანგარიშზე, ხოლო პირუტყვის გაფრთხილების და მოვლა-შენახვის თანხა 2625 ლარი შემოტანილ იქნა საწარმოს ანგარიშზე.

ა(ა) იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრსა და ინდ.მეწარმე „ლერი ჩხარტიშვილს“ შორის 2023 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული №543 ხელშეკრულების საფუძველზე მ/წლის გასულ პერიოდში განხორციელდა ქალაქიდან 202 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დაჭერის, თავშესაფარში გადაყვანის და თანმდევი სამედიცინო მომსახურების(იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია) გაწევა და კვლავ პირვანდელ ლოკაციაზე დაბრუნება

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდში განყოფილებაზე გამოყოფილი იყო 291 700ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ -საკასო შესრულება- შეადგინა 231 900ლარი, (ხარჯი შეადგენდა 190 028ლარს)

13.ქუჩების სარემონტო სამუშაოების განყოფილება-

მ/წლის გასულ პერიოდში სხვადასხვა ლოკაციებზე- სულ 144 ქუჩაზე დაყრილ იქნა 4 169^3 ხრეში (ღორღი)

ასევე ქალაქის მასშტაბით 124 ქუჩაზე დაგრეიდერდა 464 468მ^2 გზის საფარი

გარდა ამისა განყოფილების მიერ შესრულებულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები:

- საქმიანი ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები-
- საცხოვრებელი ბინების დაზიანებული სახურავების შეკეთება-გამაგრება-(საბინაო განყოფილებასთან ერთად)
- კუნძულის უბნის ზღვის სანაპირო ზოლისათვის ცხაურების შედუღება
- ნინოშვილის სასაფლაოზე დაზიანებული გზის სავალი ნაწილის შეკეთება-აღდგენა
- საგზაო ნიშნის მონტაჟი, დაზიანებული საგზაო ნიშნების შეკეთება
- საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული საწვიმური ღარების, მილების და საკვამურის შეკეთება-გამოცვლა (საბინაო განყოფილებასთან ერთად)
- დაზიანებული ბორდიურების აღდგენა
- საყვავილეებზე გრანიტის ფილების მოწყობა
- სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის დემონტაჟი თამარ მეფის ქუჩაზე
- კუნძულის სანაპირო ზოლზე უსახური შენობის (ჯიხურის) დემონტაჟი
- მალთაყვის სანაპირო ზოლის ტერიტორიის გაწმენდა
- ბუნგალოს დემონტაჟი ფარნავაზ მეფის ქუჩაზე
- ტრენაჟორის დაზიანებული სახურავის დემონტაჟი კოსტავას ქუჩაზე
- ადმინისტრაციული შენობის შიდა სარემონტო სამუშაოების წარმოება
- აღმაშენებლის ხიდზე დაზიანებული გრანიტის ფილების დემონტაჟი
- №5 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში წყალსაწრეტი სისტემის გაწმენდა
- გურიის ქუჩა №230-ში და ჰიდროგრაფიის სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ატრაქციონების დემონტაჟი.
- ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში არსებული კიბის დაზიანებული საფეხურების აღდგენა და სხვა
- ჯიქიას ქუჩაზე (№7) დაზიანებული კედლის აღდგენა
- მალთაყვის სანაპირო ზოლზე სამაშველოს საგუშაგოს დაზიანებული იატაკის აღდგენა

- ჭავჭავაძის №158-ში ლიფტის შახტის და სახურავთან წყალსაწრეტი მილის მიერთების შეკეთება
- აფხაზეთის ქუჩა №11,16,18 -ში დაზიანებული საბავშვო ატრაქციონის დემონტაჟი
- საქმიანი ზონში არსებული საწყობის სახურავის შერემონტება
- ჭანტურიას ქუჩა №7-ის სარდაფიდან ნაგავის გატანა -გასუფთავება
- დაზიანებული ტროტუარის აღდგენა -ბეტონის ჩასხმა -კოსტავას #6-ში
- ქალაქის მასშტაბით სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების და კორპუსების სახურავების შეკეთება, დროებით ბრეზენტით გადახურვა

აღნიშნული განყოფილებაზე საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი იყო 909 100ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 564 400 ლარი (ხარჯი შეადგენდა 586 026ლარს)

14. სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა

ყოველი თვის დასაწყისში ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ ყველა სატუმბი სადგურის შემოვლა-დათვალიერება, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. სატუმბ სადგურებზე გრაფიკის შესაბამისად წარმოებდა მორიგეობა. ხორციელდებოდა სატუმბი აგრეგატების, საკონტროლო მზომი სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციის დადგენილი ნორმებით. ყოველდღიური მორიგეობის შესახებ ჩანაწერები შეიტანება სპეციალურ ჟურნალებში.

სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებულ სატუმბ სადგურებში შესრულდა 75, 37, 110 კვტ-იანი ტუმბოების, ჩამრთველ-ამომრთველი ტივტივას და ელ.ტალის პროფილაქტიკური სამუშაოები, განხორციელდა ცხაურთან და ავანკამერასთან მისასვლელი 2 ცალი კარის მონტაჟი, ავანკამერების გასანათებლად დამონტაჟდა 2ც სანათი, მშვიდობის ქუჩა #109-ში მდებარე სატუმბი სადგურის სამორიგეო ოთახს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გადაიხურა თუნუქის ფურცლით, გაითიბა და მოწესრიგდა სატუმბი სადგურების მიმდებარე ტერიტორიები, სატუმბი სადგურის სანიაღვრე არხი ამოიწმინდა ნატანი მასისაგან, კრასასიუკის ქუჩა #68-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა 2 ტონიანი ტალის დემონტაჟი და დამონტაჟდა 3 ტონიანი მექანიკური ტალი, შესრულდა პროფილაქტიკური სამუშაოები, მშვიდობის ქუჩა №109, 113-ში შესრულდა ტუმბოების პროფილაქტიკური სამუშაოები, დამონტაჟდა მექანიკური ტალი, შესრულდა #2 75კვტ-იანი ტუმბოს რემონტი. ნიკო ნიკოლაძის სანაპირო №4-ში მდებარე სატუმბ სადგურში შესრულდა რუსული წარმოების 110 კვტ-იანი №1 ტუმბოს დემონტაჟი, შეკეთება და მონტაჟი, ცხაურების შეკეთება, 37 კვტ-იანი ტუმბოს შეკეთება, კოსტავას ქუჩა №187-ში შესრულდა პროფილაქტიკური სამუშაოები. ეს რაც შეეხება მიმდინარე და პროფილაქტიკურ სამუშაოებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კლიმატის ცვლილების -გლობალური დათბობის ფონზე- ქალაქში უხვი ნალექების მოსვლის ფაქტების გახშირებას, აქ პრობლემის გადაწყვეტის - ქალაქის დატბორვის თავიდან აცილების - ორი გზაა: არსებული სანიაღვრე არხების პარამეტრების (სიღრმე და სიგანე) შეცვლა ან არსებული სატუმბი სადგურების კაპიტალური რეაბილიტაცია და დამატებითი სატუმბების მშენებლობა. სანიაღვრე არხების პარამეტრების შეცვლა ჩვენს ქალაქში შეზღუდულია შემდეგი მიზეზების გამო: რელიეფის შესაბამისად გრუნტის წყლების ნიშნული არის ნიადაგის ზედაპირიდან ახლო ჩაღრმავებაზე.

რამდენადაც ტრუნტის წყლები ამცირებს სანიაღვრე არხების სასარგებლო ფართს, ამდენად სიღრმის მატება შედეგს არ მოგვცემს, რაც შეეხება არხის სიგანეში გაზრდას, აღნიშნული სერიოზულად შეამცირებს ქუჩების გაბარიტებს, რაც ქალაქისთვის პრაქტიკულად მიუღებელია ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების გადატვირთული მოძრაობის გათვალისწინებით.

ამიტომ საჭიროა არსებული სანიაღვრე ქსელების იდეალური გაწმენდა და მასზე მუდმივი კონტროლი და არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია.

დღეის მდგომარეობით ქალაქში არსებულ 8 ერთეულ სატუმბ სადგურებში გვაქვს შემდეგი მდგომარეობა:

-მშვიდობის ქუჩა №113-ში არსებული 3 ერთეული 110 კვტ-იანი ტუმბო-აგრეგატიდან - 2 ერთეული მუშა მდგომარეობაშია, 1 ერთეული სარემონტოა (მთლიანად სისტემა)

-მშვიდობის ქუჩა №109-ში -3 ერთეული 75 კვტ-იანი ტუმბოდან 2 ერთეული მუშაობს ავარიულად, 1 ერთეული არამუშაა. <u>სამივე ექვემდებარება შეცვლას.</u>

-ბესიკის ქუჩა #27-ში 2 ერთეული 37 კვტ-იანი ტუმბო მუშა მდგომარეობაშია. აქვეა დიზელ-გენერატორი, რომელიც არამუშა მდგომარეობაშია.

-კოსტავას ქუჩა # 189 ა -ში 3 ერთეული 75 კვტ-იანი ტუმბოდან 2 მუშაა, 1 არამუშა

-კრატასიუკის ქუჩა №68-ში - 3 ერთეული 75 კვტ-იანი ტუმბოდან 2 მუშაა, 1 მუშაობს ავარიულად

<u>-შავი ზღვის ქუჩა #68-ში -2 ერთეული 75 კვტ-იანი ტუმბოდან ორივე არამუშაა და ცუდი მდგომარეობაა</u>

-ვეკუას ქუჩა #7-ში -2 ერთეული 65 კვტ-იანი ტუმბოდან ორივე მუშაა, არის ასევე დიზელ-გენერატორი მუშა მდგომარეობაში.

-ნიკოლაძის სანაპიროზე #4-ში - 2ერთეული 110 კვტ-იანი ტუმბოდან -1 მუშაა, 1 არამუშა. აქვე არის 1 ერთეული 45 კვტ-იანი ტუმბო მუშა მდგომარეობაში.

<u>აუცილებლობას წარმოადგენს რვავე სატუმბ სადგურში იყოს დიზელ-გენერატორი, რომლის სიმძლავრის დადგენა მოხდება სატუმბ სადგურებში არსებული აგრეგატების-ტუმბოების სიმძლავრის გათვალისწინებით. ასევე სამომავლოდ სასურველია დამატებით 3 ერთეული სატუმბი სადგურის მშენებლობა პრობლემურ ლოკაციებზე.</u>

საანგარიშო პერიოდში ამოწმენდილ იქნა სანიაღვრე არხები 141 779 გრძივი მეტრი. არხების ამოწმენდის პროცესში ხორციელდება ასევე არხის ორივე ნაპირის გათიბვის სამუშაოები (50-50 სმ-ის პერიმეტრზე)

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი იყო 875 300 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 781 500 ლარი (ხარჯი შეადგენდა 770 058 ლარს)

15.მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა

გასული წლის აგვისტოს თვეში (განყოფილების შექმნისას) განხორციელდა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული მინი სპორტული მოედნების შემოვლა-დათვალიერება- შემდგომში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვის მიზნით.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მოედანზე იყო ერთი და იგივე პრობლემა-დაზიანებულია ღობის -ლითონის მავთულბადის და ხელოვნური მწვანე საფარის გარკვეული ნაწილი, მოედნებზე არსებული განათების ბოძები გადასატანია მოედნების პერიმეტრს გარეთ, რათა შიგა ტერიტორიაზე დაცულ იქნეს იქ მყოფი ადამიანების უსაფრთხოება, ზოგან დასამონტაჟებელია გარე განათება, შესაღებია სპორტული მოედნების კარებები და ღობე და სხვა.

მიმდინარე წელს სამუშაოები განხორციელდა მონიტორინგისას გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. მოედნის ღობის ლითონის მავთულბადის „სეტკების“ დემონტაჟი, შეკეთება, გაწმენდა რკინის ჯაგრისით, შედუღება- მონტაჟი, შეღებვა, ახალი სეტკების დაყენება. მოედნის ღობის და შესასვლელი კარის ძელების ძირების გამაგრება-შეღებვა, კალათბურთის ფარების შედუღება, კალათბურთის და ფეხბურთის კარების ბადეების გამოცვლა, უსაფრთხოების მიზნით მოედნის შიგა ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოძების გადატანა გარე პერიმეტრზე, ახალი განათების ბოძების მონტაჟი, ღობის კუთხოვანას („უგოლნიკების“) შედუღება, მოედნის კარის „პეტლების“ შედუღება, ფეხბურთის კარებების მონტაჟი, მოედნის „კაუჩუკის“ საფარის დემონტაჟი, ქალაქის სხვადასხვა ლოკაციებიდან დაზიანებული მოსასვენებელი სკამების გადატანა საქმიან ეზოში, შეკეთება და დაბრუნება პირვანდელ ლოკაციებზე, დაზიანებული საბავშვო ატრაქციონის დემონტაჟი და საქმიან ეზოში დასაწყობება და სხვა

სულ ქალაქში არსებული 37 მინი სპორტული მოედნიდან მ/წელს მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა მინიმოედნების უმრავლესობას საჭიროებისამებრ.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე საანგარიშგებო პერიოდში გამოყოფილი იყო 113 700 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 78 700ლარი (ხარჯი შეადგენდა 85 045ლარს)

16. ადმინისტრაციაზე მ/წლის გასულ პერიოდში გამოყოფილი იყო 466 800 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 406 100 ლარი (ხარჯი შეადგენდა 401 388ლარს)

სულ 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში გეგმით გათვალისწინებულ იყო 6 427 900ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 5 152 900ლ (ხარჯი შეადგენდა 4 992 349 ლარს)

არსებული პრობლემები და ინიციატივები

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გადმოცემული სპეცტექნიკის მუშაობის პროცესში აქტიური ჩართვით მოგვარებულ იქნა საწარმოში არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი, რის შედეგადაც აღმოიფხვრა შეფერხებები და ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა ხორციელდება სრულყოფილად.

თუმცა ჯერ-ჯერობით დიდი თანხები იხარჯება ისეთი სპეც. ტექნიკის იჯარაზე, როგორებიცაა ამწე-კალათა 12 და 22 მეტრიანი, ავტო-ამწე, ავტო გრეიდერი და ექსკავატორი JCB მოდელი 4CX. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ორიენტირებას გააკეთებს აღნიშნული ტექნიკის შესყიდვაზე, რითაც მომდევნო წლებში დაიზოგება საბიუჯეტო თანხები

ასევე სასურველია 1 ერთეული სპეციალიზებული ასენიზაციის მანქანის, 2 ერთეული ქუჩების გადამრეცხავი სპეც.ტექნიკის და მაგისტრალური არხების გასაწმენდად სპეციალიზებული ექსკავატორის CAT (Caterpillar 319DL) შეძენა. ამ უკანასკნელის შეძენის აუცილებლობა გვაჩვენა ბოლო პერიოდში ქალაქში შექმნილმა ფორსმაჟორულმა სიტუაციამაც, რომლის დროსაც უხვი ნალექის გამო დაიტბორა მთელი ქალაქი და საჭირო გახდა სანიაღვრე არხების სასწრაფო ამოწმენდა წყლის გამტარიანობის უზრუნველსაყოფად.

პრობლემაა სპეცტექნიკის (ტრაქტორი და სხვა) მძღოლების, ელექტრიკოსის და სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტების და მუშების მაღალკვალიფიციური და სერტიფიცირებული კადრების მოზიდვა, რადგან კერძო სექტორში დასაქმებულ შესაბამის პოზიციებზე ხელფასები ბევრად მაღალია. აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად 2024 წელს დასახელებულ პოზიციებზე განხორციელდა თანამდებობრივი სარგოების მნიშვნელოვანი გაზრდა.

სერვისების ცენტრის დირექტორი **ლ. გუნიავა**